პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 27 მარტი 1925 წ.

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 66 (754) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოს ყველა წევრთა საყურადღებოთ

ცხადდება, რომ 26 მარტიდან იწყება დროებითი მანდატების მუდმივი მანდატებზე შეცვლა და საბჭოს სექციებში ჩაწერა.

მანდატების მიღება და სექციებში ჩაწერის წესი, როგორც საბჭოს წევრებისთვის, აგრეთვე საქარხნო საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტებისა, პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებისა, ლენინელთა ახალგაზრდა კომკავშირის საქართველოში, მ/გ ინსპექციის, ქალთა განყოფილებისა და და სხვა მშრომელთა (იხ. დებულება) წარმომადგენელთათვის შემდეგია:

**საბჭოს წევრების და წარმომადგენლებისათვის**

**I რაიონიდან.**
**26 და 27 მარტს.**
**მე-2-რე რაიონიდან.**
**20 და 30 მარტს.**
**მე-3-მე რაიონიდან.**
**31 მარტს და 1 აპრილს.**
**მე-4-ხე რაიონიდან.**
**2 და 3 აპრილს.**

საბჭოს წევრებს მანდადატები მიეცემათ ალმასკომის პრეზიდიუმის კანცელარიაში (ოთახი № 4) ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 9 საათამდე. აქვე სწარმოებს სექციებში ჩაწერა.

**სექციებში ჩაწერა ყველა წევრთათვის სავალდებულოა.**

ალმასკომის პრეზიდიუმი.

## რა გაკეთდა წიგნისა და ბიბლიოთეკისათვის.

ეს კითხვა უნებურათ უნდა მივსცეთ ჩვენი ჯარის ნაწილებს, ვინაიდან ერთი თვეზე მეტია რაც დაიწყო წიგნისა და ბიბლიოთეკის კამპანია. ამ ხნის განმავლობაში ამის შესახებ ერთი თუ ორი კორესპონდენცია თუ დაიწერა ჩვენს გაზეთში. ნაწილების უმრავლესობამ არავითარი ცნობა არ მოგვცა თავის მუშაობის შესახებ ბიბლიოთეკების გაუმჯობესების საქმეში.

ჩვენ არ ვიცით სწარმოებს რაიმე მუშაობა ამ მხრივ და თუ სწარმოებს რა ნაყოფით? ყოველივე ეს აუცილებლად უნდა შუქდებოდეს „წითელ-არმიელში“.

ეს მეტის მეტად საჭიროა, ვინაიდან კამპანიის დროს შესაძლებელია ბევრი ახალი მიღწევები ნაწილის ბიბლიოთეკების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში. ამიტომაც თითეული ასეთი მიღწევა უნდა გაუზიარონ ნაწილებმა ერთმანეთს ჩვენი გაზეთის საშუალებით.

ვიმეორებთ ბიბლიოთეკის თავის მოწოდების სიმაღლეზე დაყენება ნაწილში, მისკენ წითელ-არმიელთა ფართო ფენების მიზიდვა და მათში წიგნის ავტორიტეტის აწევა—შეადგენს ერთ-ერთ მორიგ ამოცანას ჯარის კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში.

თვით კამპანიის ხანგრძლივობა—სამი თვე იმის ნათელი მაჩვენებელია, თუ რამდენათ სერიოზულია ეს ამოცანა და თუ როგორი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ მას ჩვენი ჯარის ნაწილები. ნახევარი დრო უკვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ უნდა გაკეთებულიყო.

თუ არ გაკეთდა ეს დიდი ნაკლია.

საჭიროა დარჩენილი პერიოდი მაინც გამოყენებული იქმნას მაქსიმალურად.

წიგნი—საუკეთესო მეგობარია წითელ-არმიელის.

ბიბლიოთეკა ერთ-ერთი კერაა კულტურის.

ამიტომაც ნაწილის ბიბლიოთეკაც დაყენებული უნდა იქმნას ისეთ სიმაღლეზე, რომ ის სავსებით ამართლებდეს ამ დიდ დანიშნულებას.

ყოველივე ეს დამოკიდებულია ნაწილის ხელმძღვანელების ენერგიულ მუშაობისაგან ამ მხრივ.

დღემდის კამპანია ვერ სწარმოებდა ისე, როგორც ამას მოითხოვს ბიბლიოთეკის გაუმჯობესების საქმე.

დღეიდან კი საჭიროა მისი გაღრმავება და მეტის გაცხოველებით წარმოება.

ჩვენი სამხკორებს კი მართებს სისტემატიურად და ფართედ გააშუქონ კამპანიის მიმდინარეობა თავთავიანთ ნაწილებში.

# ახალი რადიო-ამბები

## ამხ. იანსონი—საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენელი იაპონიაში

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაინიშნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად იაპონიაში საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წევრი ამხ. იანსონი.

## მდგომარეობა ჩინეთში

მინისტრი-პოლიციის დახმარებით.

მიუხედავად დაინტერესებულ პირთა ძლიერი წინააღმდეგობის, სახალხო განათლების ახალი მინისტრი ვან-ჩინი, პოლიციის დახმარებით შეუდგა მოვალეობის ასრულებას.

პეკინის უნივერსიტეტს და უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებებს განზრახული აქვთ უარყონ ყოველგვარი ურთიერთობა სამინისტროსთან.

## შანხაის სავაჭრო პალატის პროტესტი.

შანხაის სავაჭრო პალატამ განაცხადა პროტესტი იმ შეთანხმების წინააღმდეგ, რომელიც დადებულ იქნა უცხოეთის თამბაქოს ქარხნებთან ჩინეთში. ამ შეთანხმების თანახმად უცხოეთ ქარხნებს ენიჭებათ შეღავათი გადასახადებზე.

## იაპონიის ესკადრა შანხაიში.

შანხაიში მოელიან იაპონიის ესკადრას, რომელიც შესდგება ოთხი მსუბუქი კრეისერისა და შვიდი წყალ-ქვეშა ნავისაგან.

ესკადრა ივლის იან-ცენ-კიანგის ქვე-მიმართულებით.

## ინგლისი დახმარებას უწევს ჩინეთის კონტრ-რევოლიუციას.

კვანტუისკის პროვინციაში მოხდა სასტიკი ბრძოლები. ჩან-ცზო-ლინის არმიის ჩრდილოეთის ჯგუფი სცდილობდა შეჭრილიყო და გაერღვია კანტონის ჯარები.

ძლიერი იერიშების შემდეგ ჩან-ცზო-ლინის ჯარები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ. მათ მოუკლეს და ტყვედ წაართვეს მრავალი.

კანტონის ჯარების დანაკლისიც დიდია. კანტონის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარებში იმყოფებიან ინგლისის სამხედრო ინსტრუქტორები. იუწყებიან, რომ ჩან-ცზო-ლინი იკრებს ახალ ძალებს. მაგრამ კანტონის ჯარების გამარჯვებას საბოლოოდ სთვლიან.

## სუნ-იატ-სენის სახსოვრად.

მისი გზით.

მთელ ქვეყნებში მიდის მიტინგები სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავად.

კანტონში მომხდარ მასიურ მიტინგზე, სუნ-იატ-სენის სურათთან თავმოყრილ ხალხმა ფიცი დასდო გომინდანის პარტიის 500 წევრის სახელით, რომ აასრულებენ განსვენებულის უკანასკნელ ნებას და მიაღწევენ მის მიერ დანიშნულ მიზანს-ეროვნულ რევოლიუციას.

## ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება.

### ჩვენი მრეწველობა ძლიერდება.

24 მარტს მოსკოვის აქტიურ პარტმომუშავეთა ყრილობაზე ფინანსთა კომისარმა სოკოლნიკოვმა გააკეთა მოხსენება ფინანსიურ და მეურნეობის მომავალზე ახლობელ პერიოდში.

მან აღნიშნა ფულის რეფორმის წარმატებითი ჩატარება, სახელმწიფო მეურნეობის გაძლიერება, შეეხო ბიუჯეტის დასაყრდნობ წყაროებს და შემდეგ განაცხადა:

**„ჩვენ გამოვედით იმ პერიოდიდან, როცა ტრანსპორტი, ფოსტა და ტელეგრაფი ხარჯებს ვერ ფარავდენ. ამ წელში ჩვენ გვაქვს 82** მილიონი მანეთი შემოსავალი სამრეწველოსა და სახელმწიფო ვაჭრობისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი, ნაციონალიზაცია ქმნილი მრეწველობა საკუთარ ფეხზე სდგას და არა სახელმწიფო ბიუჯეტსა და მუშურ-გლეხური მასების გადასახადებს ეყრდნობა“.

დასასრულ მან განაცხადა: „რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩვენ უნდა ავამაღლოდ სოფლის საერთო დონე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მუშების კეთილმდგომარეობის გაუმჯობესება ქალაქში“.

## ჩვენი მეურნეობა წინ მიიწევს.

დღითი დღე, თვე თვეზე საბჭოთა კავშირის მეურნეობა მიიწევს წინ აღორძინების და აღდგენის გზაზე. ამას ამტკიცებს ის გამოცოცხლება და მიღწევები, რომელიც ახასიათებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს. უკვე ერთი წელი იქნება, რაც გატარებული იქმნა ფულის რეფორმა. ის სავსებით გაამართლა ცხოვრებამ. ჩვენი ჩერვონეცის კურსი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ოდნავ არ შერყეულა; ის მტკიცედ სდგას სხვა უცხოელ მტკიცე ფულის ნიშნებთან შედარებით; მისი შესყიდვითი ძალა ამაღლებისაკენ იხრება. უკვე ეს გარემოება ნათელი მაჩვენებელია იმის, რომ სახალხო მეურნეობის საქმე მტკიცე საფუძველზე სდგას. ტრანსპორტი, ფოსტა და ტელეგრაფი უკვე აღარ იძლევიან ზარალს, პირიქით სავსებით აკმაყოფილებენ თავის შემოსავლით საკუთარ ხარჯებს.

წინად კი ისინი სახელმწიფოს ხარჯზე იყვენ, რაც მძიმე ტვირთათ აწვა მთელ მეურნეობას. არა თუ ეს დარგები, არამედ საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. სოკოლნიკოვის განცხადებით სახელმწიფო მრეწველობამ და ვაჭრობამაც მოგვცა 82 მილიონი მანეთი შემოსავალი, რაც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

„ეს იმის ნიშანია“, ამბობს ამხ. სოკოლნიკოვი, „რომ ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა საკუთარ ფეხებზე სდგას“.

ცხადია ყოველივე ამან დიდათ შეუწყო ხელი სახელმწიფო ბიუჯეტის (შემოსავალ-გასავლის) განმტკიცებას და გადიდებას. სახელმწიფო შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს გადასახადები. ასეთებია: სასოფლო—სამეურნეო გადასახადი, სარეწავი და შემოსავლის კვალობითი.

ამ უკანასკნელ წელში სასოფლო—სამეურნეო გადასახადები დანარჩენ გადასახადებთან ნაკლებია ორმოცი მილიონი მანეთით. ამას ხელი შეუწყო მრეწველობის ზრდამ. ეს უკანასკნელი კი განუწყვეტლივ ვითარდება, რაშიც მას ეხმარება სახელმწიფო, წაძლევს რა მას სათანადო თანხებს. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების ნაყოფიერებამ დიდათ იმატა ამ ბოლო ხანებში.

რაც შეეხება სასოფლო—მეურნეობას ის დიდათ რჩება საერთო წინ მსვლელობას, ამის მიზეზია უკანასკნელი წლის მოუსავლობა.

მაგრამ მუშურ-გლეხური სახელმწიფო იმდენათ მოღონიერდა, რომ მას საშვალება აქვს გაუწიოს მას საკმაო დახმარება. ჯერ ის გარემოება, რომ სასოფლო—სამეურნეო გადასახადი შემცირებულ იქმნა 25 პრ. და საჭირო თესლეულობა დროზედ მიეცა სოფელს, დიდათ შეუწყობს გლეხობას მისი მეურნეობის გამოკეთების საქმეში.

მართალია ჯერ კიდევ ბევრი გვიკლია ჩვენი სახალხო მეურნეობის სრულ აღორძინებამდე, მაგრამ უკვე მიღწეული შედეგები ნათლად ამტკიცებენ მას, რომ ამ მიზანს მალე მივაღწევთ.

—ე.

# ამხ. ამხ. მიასნიკოვის, ათარბეგოვის და მოგილევსკის ხსოვნას.

## ამხ. ტროცკი დაღუპულ ამხანაგების შესახებ.

23 მარტს შესდგა სუხუმის ქალაქის საბჭოს, პროფკავშირთა, კომკავშირის და წითელ-არმიელთა წარმომადგენლების გაერთიანებული სამგლოვიარო სხდომა.

მთელ რიგ ადგილობრივ მომუშავეთა სიტყვების შემდეგ ილაპარაკა ამხ. ტროცკიმ. მან აღნიშნა დიადი დანაკლისი ტრაღიკულად დაღუპულ ამხანაგების სახით და დაახასიათა თვითეული მათგანის მოღვაწეობა.

„თავის მუშაობაში—განაცხადა ამხ. ტროცკიმ—ამ გამომრძმენდილმა მებრძოლებმა გამოიჩინეს უდიდესი მოქნილობა და ალღო ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ტომის მასების მოთხოვნილებისა და საჭიროებისადმი.

ვლადიმერ ილიჩმა მიასნიკოვის საშუალებით გადასცა ამიერ-კავკასიას შემდეგი მცნება:

ყურადღებით მოეპყარი იმას, თუ რით სცხოვრობს და სუნთქავს ამიერ-კავკასიის ძირითადი, ანუ გლეხური მასა. გლეხთა საკითხი გადახლართულია აქ ეროვნულ საკითხზე. სახიფათოა როცა პროლეტარიატი და გლეხობა სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობს.

ორმაგ სახიფათოა თუ რომ სხვა და სხვა პოლიტიკური ენა ხვდება სხვა და სხვა ეროვნების ენებს შორის. მაშინ იბადება საშიშროება—საშიშროება ბაბილონის გოდოლისებური. ეროვნული საკითხი ამიერ-კავკასიაში დიდი მნიშვნელობის საკითხია და უყურადღებობა ამ საკითხისადმი დამღუპველი იქნებოდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვისაც. მაგრამ შემოქმედებითი ყურადღება ამ საკითხისადმი შეუძლია გამოიჩინოს მხოლოდ ისეთმა კომუნისტმა, რომელიც თვითონ არის გამსჭვალული ინტერნაციონალიზმით.

ჩვენ კარგად ვიცნობთ „ყურადღებას“ ეროვნულ საკითხისადმი რომელიც გამოიჩინა ამიერ კავკასიის ძველმა პარტიებმა. აღერბეიჯანში—ნაციონალისტი მუსავატელები, სომხეთში—დაშნაკელები, საქართველოში—მენშევიკები,—ყველა ესენი მეტად დიდ „ყურადღებას“ აქცევდენ ეროვნულ საკითხს. მაგრამ ასეთი, წვრილ ბურჟუაზიული სიბეცითა და ღვარძლით ნაკარნახევი „ყურადღება“ იწვევს მხოლოდ სისხლის ღვრასა და შუღლს ერებს შორის.

ნამდვილი ინტერნაციონალიზმი მოითხოვს ეროვნულ გრძნობების ამაღლებას მასებში, კლასობრივ და ზოგად-კულტურულ ამოცანების გადაჭრას რათა გაეხსნას მასას გზა მსოფლიო, ზოგად-კაცობრიულ კულტურისაკენ.

აი, ეს ჭეშმარიტი განმათავისუფლებელი მუშაობა შეასრულეს მიასნიკოვმა, ათარბეკოვმა და მოგილევსკიმ“.

## ამხ. ამხ. მიასნიკოვის, მოგილევსკის და ათარბეგოვის ხსოვნას.

### სამგლოვიარო კრება მოსკოვში.

25 მარტს შესდგა მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო სხდომა დაღუპულ ამხანაგების მიასნიკოვის, მოგილევსკისა და ათარბეკოვის სახსოვრად.

საკავშირო ცაკის მდივანმა ენუქიძემ დაახასიათა დაღუპულთა მოღვაწეობა, აღნიშნა თუ რა დანაკლისი განიცადა საბჭოთა კავშირმა მათი დაკარგვით და სხვა.

კრება დასრულდა სამგლოვიარო მარშით.

## სამგლოვიარო დემონსტრაცია ბაქოში.

დაღუპულთა პატივსაცემად გამართულ სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობდა 50.000 მეტი მშრომელი-წითელი არმიის ნაწილები, პიონერები და მუშათა ორგანიზაციები.

პროცესია რამოდენიმე საათი გაგრძელდა.

საღამოს კლუბებში გაიმართა მოგონებათა და სამგლოვიარო საღამოები.

## სამძიმრის დეპეშები.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს, ამიერკავკასიის ცაკს და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მოდის სამძიმრის დეპეშები საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხიდან.

მიღებულია სამძიმრის დეპეშები ლენინგრადის რკპ-ს საგუბერნიო კომიტეტისა და გუბაღმასკომისაგან, პირველ ქართულ ლეგიონის კომუნისტებისაგან, ქიათურის პარტ-ორგანიზაციისა და ქალაქის საბჭოსაგან, ბაქოს რკინისგზელთაგან, ონისა და რაჭის მაზრის პარტკომისა და აღმასკომისაგან ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტებისაგან, ახალციხის და მუხრანის მშრომელთაგან, ზუგდიდის მაზრკომისაგან და სხვა.

## ამხ. ნარიმანოვის სახსოვრად.

### თანაგრძნობის დეპეშა ჩჟან-ცზოლინისაგან.

მუკდენიდან ჩიჩერინის სახელზე მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ეს—ეს არის მივიღე ცნობა, ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მეთაურის, ნარიმანოვის გარდაცვალების შესახებ. მე—ჩინეთის აღმოსავლეთ სამი პროვინციის გუბერნატორი, აღნიშნულ პროვინციებთან ერთად გამოვთქვამ ჩემს ღრმა სიყვარულსა და თანაგრძნობას.

პატივის ცემით **ჩჟან-ცზოლინი.**

## საბერძნეთის პირობები მცირე ანტანტაში შესვლისათვის

როგორც ათინის ერთი ბურჟუაზიული გაზეთი აღნიშნავს, საბერძნეთს განზრახული აქვს წამოაყენოს პირობად მცირე ანტანტაში შესვლისთვის სამხედრო დახმარების ვალდებულება სამხრეთ-სლავიის, ჩეხო-სლავაკიისა და რუმინეთის მხრივ.

კვირას, 29 მარტს დილის 10 საათზე, მე-2 ქართულ ტერ. დივიზიის პოლიტგანყოფილების შენობაში (ივანგულოვის ქუჩა № 2 დანიშნულია თბილისის გარნიზონში მდგომ ყველა ქართულ ნაწილების

## სამხედრო კორესპონდენტთა თათბირი

დღის წესრიგი:

1. **სამხკორთა აღმშენებლობის ახალი ამოცანები.**
2. **მოხსენება ადგილებიდან.**
3. **მოხსენება კედლის გაზეთზე.**
4. **მიმდინარე კითხვები.**

დასწრება ყველა სამხკორისათვის სავალდებულოა.

მოხსენებას ადგილებიდან გააკეთებენ ლეგიონების პასუხისმგებელი სამხკორები.

გაზ. „წითელ-არმიელის“ რედაქცია.

## ამხ. ზინოვიევის მოხსენება.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე ამხ. ზინოვიევმა მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე, კომპარტიის ამოცანებზე და მათ ბოლშევიზაციის შესახებ.

მან განაცხადა: „მეხუთე კონგრესის შემდეგ მსოფლიო ეკონომიურ მდგომარეობაში ძირითადი ცვლილებები არ მომხდარა. საერთაშორისო ურთიერთობის საქმეში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ერთიან ფრონტს დიდი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს“

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის ეკონომიური გაძლიერება, მუშათა მოძრაობის ზრდა ევროპის სახელმწიფოებში, რაიც დამამტკიცებელია იმის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნების პოლიტიკამ უკვე მოსჭამა თავისი დრო.

ბოლშევიზაციის საკითხში ზინოვიევმა აღნიშნა, რომ პოლიტიკა და ორგანიზაცია თანაბარ მნიშვნელოვანია ბოლშევიზაციის საკითხში.

მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი დაცულ უნდა იქნას მიუხედავათ იმ დამახინჯებისა და მავნებლობისა, რომელიც მიაყენა მას გერმანიაში ბრანდლერმა.

„ერთიანი ფრონტის ტაქტიკა —განაცხადა ზინოვიევმა—ძველებურად წარმოადგენს ბოლშევიზაციის ნიადაგს. რევოლიუციის მაჯის ცემის შენელება იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ შევდივართ რეფორმისტულ ერაში. კომპარტიამ უნდა მიიღოს მონაწილეობა მუშათა მასების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ შესვენება სწავლისათვის. ჩვენ უნდა განვახორციელოთ ლენინიზმი მარჯვნივ გადახრებისა და ოპორტიუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ უნდა ჩამოვაშოროთ სოციალ-დემოკრატებს მუშები და ჩაუდგათ მათ ბოლშევიკური სული.

უნდა შეუფარდოთ გარემოებას და იმავ დროს არ დავკარგოთ მიზანი და სწორი ხაზი. მსოფლიო რევოლიუციის გზა უფრო ეკლიანი და ძნელია, ვინემ ჩვენ გვეგონა. ამ გზას ჩვენ გავივლით, შეიძლება ნელა, მაგრამ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს კომუნიზმის გამარჯვებისთვის“.

## სამხედრო საქმე

### ტერიტორიალურ სისტემაში ჯარების ერთეულების შედგენა.

IV

ჩვენ თუ მივიღებთ რომ პირველი თორმეტი ასაკისა ესე იგი 20 წლიდან 31 წლამდე შიგ ჩათვლით ჩაირიცხებიან საველე ანუ მომქმედ ჯარის ნაწილებში, შემდეგი ათი ასაკი, ესე იგი 32 წლიდან 41 წლამდე შიგ ჩათვლით ჩაირიცხებიან ეგრედ წოდებულ მეორე ხარისხოვან ანუ სარეზერვო ნაწილებში და ბოლოს უკანასკნელი 8 ასაკისა შეადგენენ შინა სამსახურის დანიშნულების ერთეულებში, ჩვენ წინ დადგება შემდეგი საკითხი:

ერთეულების შედგენის დროს რა უნდა იქნას მიღებული საფუძვლათ თვითეულ ზემოხსენებულ ფარგლებში.?

ამ კითხვის გადასაწყვეტათ განვიხილოთ ჩვენ აქ ორი საშვალება.

1. როდესაც განსაზღვრული ერთეული შეივსება და შესდგება თავის ტერიტორიალურ მიხადევარში მიცემულ კატეგორიის **ყველა** ასაკიდან.

2. როდესაც ერთეული შესდგება და შეივსება მხოლოდ მოცემულ კატეგორიის **ერთი ასაკიდან.**

პირველ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ იმ უპირატესობას, რომ რომელიმე ერთეულის შედგენა და შევსება შესაძლებელი იქნება შედარებით პატარა მისადევარში, ვინაიდან თუ კი რომ გამოყვანილი იქნება ყველა ასაკისა სულ პატარა რაიონი შეავსებს ერთეულს. ეს კი გაგვიადვილებს მობილიზაციის დროს მათ შეკრებას. მაგრამ ამავე დროს მას აქვს მრავალი უარყოფითი მხარეები, რომელსაც გვერდს ვერ აუვლით. უპირველეს ყოვლისა არა ხელსაყრელია ის, რომ მობილიზაციის დროს უნდა გავიყვანოთ **ყველა** ასაკის ხალხი და არა თანდათანობითი უფრო ახალგაზდებიდან დაწყებული. ეს მოვლენა არასასურველ გავლენას მოახდენს მისადევარის ნორმალურ ცხოვრებაზე.

მეორედ მობილიზაციის დროს თანაბრათ განაწილება სიმძიმისა ყველა მცხოვრებლებზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ კი რომ გაყვანილი იქნება **ყველა ერთეულები.** და ვინაიდან ეს შეიძლება საჭიროებას არ წარმოადგენდეს, გამოვა ის რომ ერთი მისადევარიდან ომში გავიდა თითქმის ყველა მცხოვრებლებისა მოხუცებულებიც კი მაშინ, როდესაც სხვა მისადევრიდან სრულებით არავინ გასულა.

მესამე. სხვადასხვა ასაკიდან შევსებული ჯარის ერთეული უფრო ნაკლებ **შეკავშირებულ** ერთეულს წარმოადგენს ხოლმე ვიდრე ერთი ან ორი ასაკისაგან შევსებული

მეორე საშვალება, ესე იგი, ერთეულების შედგენა ერთი რომელიმე ასაკიდან სავსებით წინააღმდეგ პირველი საშვალებისა იძლევა შემდეგ უპირატესობას.

1. მობილიზაციის დროს შესაძლებელია თანდათანობითი გაწვევა ყველა ასაკებისა დაწყებული უმცროსი ასაკიდან.

2. ერთეულების შეკავშირება უფრო მკიდროა, მაგრამ იმავე დროს მისი ყურადღებითი თვისება იმდენათ ღირსშესანიშნავია, რომ მისი საფუძვლათ მიღება შეუძლებელია.

უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ძალიან გვიფართოვდება შევსების მისადევარი და ჯარების ერთეულების დიდ მიდამოზე გაფანტვა სრულიად მიუღებელია.

ზემოხსენებულის გამო მიღებული საშვალო საშვალება ესე იგი ერთეულების შედგენა უნდა ხდებოდეს 3-4 ასაკიდგ. უკანასკნელი საშვალება საგრძნობლათ ანელებს ორივე წინა ნაჩვენებ საშვალებების უარყოფითი მხარეებს.

მ გ.

## ბურჟუაზიული ფარისევლობა.

### ლანცუცკი გაამართლეს, მაგრამ ის დასტოვეს ციხეში.

ნაფიც მსაჯულებმა 10 ხმის უმეტესობით გაამართლეს ლანცუცკი, მაგრამ ლანცუცკი არ გაუთავისუფლებიათ ციხიდან.

ის დატოვებულ იქნა ციხეში ახალი ბრალდების გამო ლოძისა და ვარშავის სასამართლოს გამომძიებელთა მოთხოვნილებით.

## ამხ. ლანცუცკის საქმე.

სასამართლოში წაკითხულ იქნა ბრალდებები სხვა და სხვა საბუთებიდან.

პროკურორმა მოითხოვა როსტას კორესპონდენტის მოშორება დარბაზიდან, მაგრამ სასამართლომ უარყო ეს მოთხოვნილება.

დამცველებმა მიიღეს რემედასისაგან დეპეშა, რომელშიაც მოთხოვნილია პროცესის გადადება და სხვა და სხვა სახელმწიფოს დამცველთა დაშვება ლანცუცკის გასამართლებაზე.

# პარტიული ცხოვრება.

## კიდევ პარტიაში მიღების შესახებ.

ზოგიერთი კომუჯრედი ან ბიურო კოლექტივი იხილავენ პარტიაში შემოსასვლელ პირების განცხადებებს უავტობიოგრაფიოთ ანდა პარტ-ორგანიზაციების მიერ დაუდასტურებელ ავტობიოგრაფიას, რაც დაუშვებელია.

პარტიის ყოველივე წევრმა უნდა იცოდეს პარტიაში მიღების წესი, მით უმეტესათ ძირითადი ორგანიზაციებმა (კომუჯრედებმა და ბიურო კოლექტივებმა) უნდა იცოდნენ, რომ ვინც ამას გვერდს უხვევს, ის არღვევს პარტიულ დადგენილებას და წესდებას.

პარტ-კომისიის ეს დადგენილება იყო გამოქვეყნებული გაზეთ „წითელ ვარსკვლავში“, მაგრამ ზოგიერთ პარტ-ორგანიზაციები მაინც არ იცავენ ამ წესს.

საგულისხმოა ის, რომ ეს წესი ან ვერ გაიგეს ანდა არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. შეიძლება ზედმეტად სთვლიან ამხანაგები ამგვარ ფორმალურ მხარეებს.

აქ უნდა აღინიშნოს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ავტობიოგრაფიას, როგორც საბუთს მის წარმომდგენის, რომლის შესახებ ის წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რომელ სოციალურ წრეს ეკუთვნის მისი წარმომდგენი და რა პოლიტიკურ რწმენას იზიარებს ის.

ამიტომ მასში აღნიშნულის შემოწმება აუცილებლად საჭიროა, რადგან ხშირად ავტობიოგრაფიაში ნაჩვენები ფაქტები არ შეეფერება სინამდვილეს, რასაც არკვევს პარტ-კომისია სამოქალაქო ორგანიზაციების საშუალებით. აი საყურადღებო ფაქტი:

ერთი მოქალაქე (წ. ა.) პარტ-კომისიას აძლევს ახსნა-განმარტებას: მე ვღებულობდი მონაწილეობას 1919 წელს ბოლშევიკურ გამოსვლებში, ვიყავი ამა და ამ ამხანაგებთან (კომუნისტებთან) ერთად გასული ტყეში. ვიბრძოდი მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგო.

პარტ-კომისიის კვლევა-ძიების შემდეგ გამოირკვა, რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია გამოსვლებში და არც ყოფილა იმ ამხანაგებთან, რომლებსაც ის ასახელებს.

პირიქით იმათმა ის დაახასიათეს როგორც უღირსი პირი, რომელსაც წარსულში ქურდობა და სხვა ცუდი საქციელი აქვს, მას კი ხელს უწერენ ჩვენი ამხანაგები.

აქედან ნათლად სჩანს, რომ ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებს კარგად არა აქვთ შეთვისებული პარტ-ეთიკა და წესდება, ვინაიდან ადგილი აქვს ასეთ დაუშვებელ მოვლენებს.

რასაკვირველია ასეთ პირებს როგორც ეს ზემოთ მოყვანილი პიროვნებაა ადგილი არ ექნება სპეტაკ მუშურ და გლეხურ კომუნისტურ პარტიაში.

ამისათვის საჭიროა რეკომენდაციის მიმცემლებმა დიდი სიფრთხილით მოექცნენ და რეკომენდაცია გაუწიონ იმ პირთ, რომლებსაც კარგად და დაახლოებით იცნობენ.

პარტ. წესდებაში აღნიშნულია: რეკომენდაციის მიმცემნი პასუხისმგებელნი არიან (კომპარტიის წინაშე) იმ პირთა შესახებ, რომელთაც ისინი აძლევენ რეკომენდაციას იმ შემთხვევაში თუ ასეთი რეკომენდაცია უსაფუძვლოდ იქნა გაცემული, მათ დაედებათ სხვა და სხვა პარტიული სასჯელი თვით პარტიიდან გამორიცხვამდე.

ვინც პარტიის ასეთ წინადადებას ანგარიშს არ უწევს, მას არც პარტია უყვარს და არც მისი ინტერესების დამცველი იქნება.

ასეთი წევრები კი პარტიისთვის ზედმეტად მიჩნეულ უნდა იქნეს.

საჭიროა პარტ. წევრების მიერ ავტობიოგრაფიების დადასტურება. ისინი შემოწმებული უნდა იქნეს იმ პარტორგანიზაციის მიერ, სადაც ისინი ირიცხებიან.

ასეთივე წესით უნდა ხდებოდეს ა. კ. კ. წევრებად მიღება,

ა. ტიგიშვილი.

## დავაარსეთ პოლიტკურსები.

23 მარტს ცხენოსან ლეგიონის კლუბის შენობაში შესდგა ლეგიონის პარტწევრების, კანდიდატების და ახკომკავშირელთა გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი: 1) დისციპლინის და 2) პოლიტკურსების დაარსების შესახებ (გარდა პარტკურსებისა, რომელიც კვირაში ორჯერ მეცადინეობს).

დისციპლინაზე შესაფერი მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად გამოიტანა საჭირო დადგენილება.

პოლიტკურსების შესახებ კი კრებამ დაადგინა: დაარსებული იქნეს პოლიტკურსები, რომელიც ყოველკვირეული გაზეთების მიმოხილვით შეისწავლის, როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტცხოვრების მიმდინარეობას. კრება დიდი სიხარულით შეეგება დადგენილებას.

კურსების ხელმძღვანელობა დაევალა პარტკურსების ხელმძღვანელს ამხ. ქაჯაიას. ვიმედოვნებთ კურსები სავსებით გაამართლებენ თვის დანიშნულებას.

პარტკორი დ. ზეფრაშვილი.




## სამაგალითო საქმე.

1-ლ ლეგიონის სამნეო გუნდის უფროსმა ამხ. ჯორჯაძემ თავისი ინიციატივით და წითელ არმიელების დახმარებით ყაზარმის ეზოში და მის ახლო-მახლო ადგილებში დარგო სხვა და სხვა ჯიშის მცენარეულობა. ამხანაგმა აუხსნა აგრეთვე წითელ არმიელებს თუ როგორ ხდება მცენარეთა რგვა და როგორ უნდა მოვეპყროთ უკვე დარგულს რომ უვნებლად გაიზარდოს. ის შეეხო აგრეთვე მცენარეულობის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ადამიანის ჯანმრთელობისათვის, რომელიც ძლიერ ასუფთავებს ჰაერს.

მცენარეები ეზოში დარგულია რიგზე და სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენს.

კარგი იქნება სხვებიც წაბაძავდენ.

ღრიბაშვილი.

## ჩვენი მუშაობა გლეხობასთან.

მე-5 თე ლეგიონის 3-მე ასეულის უჯრედმა გადასწყვიტა კულტშეფობის აღება მახლობელ სოფელ ჩხუტელზე. ეს საკითხი პირნათლად იქნა შესრულებული.

დანიშნულ დროზე აღნიშნულ სოფელ ჩხუტელში გაემგზავრა უჯრედის მიერ არჩეული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ამხ. ამხ. გ. ყურაშვილი, ვ. გელოვანი და ერთი კ. სამოქალაქო ორგანიზაციაში მომუშავე ამხანაგი. ვესტუმრეთ სოფ. ჩხუტელს. გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. ყურაშვილი, კულტშეფობის მნიშვნელობისა და ჩვენი ამოცანების შესახებ. გლეხობა ძლიერ კმაყოფილი დარჩა მოხსენებით.

კომისიას თან ჰქონდა წაღებული ასეულიდან სხვა და სხვა ლიტერატურა და გაზეთები, რომელიც დაურიგდა სოფ. ჩხუტის პარტამხანაგებს და წერა-კითხვის მცოდნეებს.

კომისიამ სთხოვა აგრეთვე გლეხობას გამონახონ შენობა სამკითხველოსათვის და ჟურნალ გაზეთებს კი მიიღებდენ ასეულიდან, რაზედაც აღგვითქვეს შენობის შოვნა.

ჩვენც მზათ ვართ, რომ შეფობის ქვეშ მყოფ სოფელს მივაწოდოთ ჟურნალ-გაზეთები, გაუკეთოთ ხშირათ მოხსენებები და ამით დავამყაროთ მათთან მჭიდრო ურთიერთობა.

სამხკორი ყურაშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი.

### სინათლე კიდევ არა გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, საარტილერიო ლეგიონის ყაზარმებში სინათლის არა სისტემატიურად—ცუდათ მოწოდების შესახებ მაინც არავინ აქცევს ყურადღებას და ხშირი უსინათლობა ძლიერ ცუდ მდგომარეობაში გვაგდებს. ყაზარმაში შეუძლებელი ხდება ღამით რაიმეს წაკითხვა. სინათლე წამდაუწუმ მოდის და სწყდება. ხშირად სულაც არ მოდის.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც საღამოებისა და კრებების შეწყვეტა გვ ხდება. ერთის სიტყვით შეუძლებელია ყაზარმებში მეცადინეობა და რაიმეს გაკეთება შეღამების შემდეგ.

## ახკომკავშირელთა შორის.

### სოფელსაც ვსწვდებით.

21 მარტს ქართულ მეთაურთა სკოლის მეორე ასეულში შესდგა ახკომკავშირის უჯრედის ღია კრება. დაესწრენ ასეულის უპარტიო ამხანაგების უმრავლესობა.

კრებამ პირველ რიგში მოისმინა ვრცელი მოხსენება ახალგაზრდათა მოძრაობის შესახებ, ხოლო შემდეგ კი შეფობის ქვეშ აყვანილ სოფ. ტეზერზე მიმაგრებულ ამხანაგების მოხსენება თავიანთი მუშაობის შესახებ.

ახალგაზრდათა მოძრაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდენ ამხ. ამხ. ენუქიძე და ურთმელიძე. მათ ფართოდ გააშუქეს ამ მოძრაობის ისტორია და შეეხენ იმასაც, თუ რამ მოუმზადა ნიადაგი ამ მოძრაობას.

მოხსენებამ გამოიწვია მრავალი საინტერესო შეკითხვები. მოხსენებამ ძლიერ დააკმაყოფილა ამხანაგები.

საშეფო სოფელში მუშაობის შესახებ ვრცელი ცნობები მოგვაწოდა ამხ. მაისაიამ.

როგორც გამოირკვა ამხანაგების ძლიერ ნაყოფიერი მუშაობა უწარმოებიათ სოფლად, რამაც საერთო კმაყოფილება გამოიწვია.

კრებამ ერთხმად დაადგინა: ყოველგვარი დახმარება გაუწიოს სოფელზე მიმაგრებულ ამხანაგებს, რომ უფრო წარმატებით აწარმოონ თავისი მუშაობა.

მეორე ასეულის ახალგაზრდათა უჯრედმა ამ მცირე დროს განმავლობაში, თავისი აქტიური ძალების მეოხებით მოაგვარა ყველა საჭირბოროტო საკითხები და სოფლადაც მშვენიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

ახკორი შ. ზასაძე.

## ქუთაისის გარნიზონის მიტინგი, სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო.

22 მარტს, ქუთაისში შესდგა ქალაქის გარნიზონის ყველა ნაწილების მიტინგი, სუნ-იატსენის გარდაცვალების გამო. მიტინგი გაიხსნა სამგლოვიარო მარშით. მოხსენება „სუნ-იატსენის მოღვაწეობის და მისი როლის შესახებ აღმოსავლეთის ხალხთა რევოლიუციონურ ნაციონალურ მოძრაობაში“-გააკეთეს რუსულად დივიზიის სამხკომმა ამხ. კვირიკაძემ და ქართულად, ორგ-ნაწილის უფროსმა ამხ. მათითაიშვილმა. მიტინგმა გაუგზავნა გომინდანის პარტიას და ჩინეთის მუშებს და გლეხებს სამძიმრის დეპეშა. კრებამ კი გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ქუთაისის განიზონის რუს და ქართველ წითელ ლაშქართა მიტინგი სუნ-იატ-სენის გარდაცვალების გამო დაბლა ხრის თავის რევოლიუციონურ დროშას და სუნ-იატ-სენის გარდაცვალებით გამოწვეულ თავის მწუხარებას უერთებს ჩინეთის მშრომელი ხალხის მწუხარებას.

სუნ-იატ-სენი გარდაიცვალა მაგრამ აღმოსავლეთის ერების განმათავისუფლებელი ბრძოლა არ ჩაქრება და აუცილებლად გაიმარჯვებს“.

რეზოლიუცია თავდება შემდეგი სიტყვებით „ძირს იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს თავისუფალ ჩინეთს და აღმოსავლეთს“.

დ. მიქაძე.

## ავარიის მსხვერპლებს.

იძინეთ ძმებო, იძინეთ,
იძინეთ გმირულ ძილითა!
თქვენ კი, შრომისა შვილებო
ნუ სტირით ცხარე ცრემლითა.

გმირები მარად სცოცხლობენ,
გმირები არა კვდებიან,
ისინი დღეს ისვენებენ,
მათ რიგში სხვები დგებიან.

იძინეთ ძმებო, იძინეთ
იძინეთ მშვიდი ძილითა
ერთი წასულის ადგილას
რიგებს ჩვენ ვავსებთ წყვილითა.

წ. ა. დორინი.

მოგვაქციეთ ყურადღება, ვისაც ეს შეგეხებათ.

მოგვეცით ღამით მუშაობის და მეცადინეობის საშვალება.

კურსანტი რ. კახიძე.

## პური უსუფთაოდ გვეძლევა.

მეოთხე ლეგიონის წითელ-არმიელებისათვის კარგა ხანია, რაც ერთ ვიღაც კერძო მეპურეს აცხობინებენ პურს, რომელიც ძლიერ უსუფთაოდ ამზადებს მას.

რა გინდათ, რომ პურში არ ნახოთ: ნახშირი, თოკის ნაგლეჯები, ჯოხები და ხშირად მატლებიც კი.

ხშირად უსადილოდ ვრჩებით ასეთი ჰუჰყიანი პურის გამო. არა ერთხელ გვიჩვენებია უფროსებისათვის ასეთი პური და ისინიც სათანადო გაფრთხილებას აძლევდენ პურის მცხობელს, მაგრამ მის თავგასულობას თუ დაუდევრობას მაინც არ ელება ბოლო და კიდევ უფრო ცუდათ გამომცხვარ პურს ვღებულობთ. რაშია საქმე?

ასეთივე ხარისხის ფქვილი ურიგდება პროვინციაში მყოფ სხვა ჩვენს ათასეულებს და კარგი პური აქვთ. ცხადია ჩვენი ფქვილიც კარგია, მაგრამ ცუდათ მზადდება.

საჭიროა გადამჭრელი ზომები ამ მოვლენის წინააღმდეგ. მოგვეცით სუფთად გამომცხვარი პური.

სამხკორი ქოჩიაშვილი.

## სამხედრო ნაწილების ქართველ ბიბლიოთეკართა საყურადღებოთ.

19 მარტს, სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში შესდგა ქართველ ბიბლიოთეკართა გაერთიანებული წრის კრება. კრებას უმთავრესათ სამოქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომლები დაესწრენ და სამუშაო გეგმის გათვალისწინებისა და წესდების დამტკიცების შემდეგ აირჩიეს წრის პრეზიდიუმიც... მიუხედავათ იმისა, რომ ამ სხდომაზე სამხედრო ნაწილების ბიბლიოთეკარებიც იყვნენ მიწვეული, თითქმის არც ერთი მათგანი არ გამოცხადებულა. შეიძლება აქ რაიმე ტეხნიკურ დაბრკოლებას ქონდა ადგილი, მაგრამ ფაქტი მაინც ასეთია...

წრეს მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ასაწევათ და საბიბლიოთეკო ცოდნის გასაღრმავებლათ, ძლიერ ესაჭიროება, როგორც სამხედრო ნაწილებში მომუშავე ამხანაგებს, ისე უფრო ფართო მოშტაბით, სოფლად და ქალაქად მომუშავე თითეულ ბიბლიოთეკარს...

წრე იყოფა რამოდენიმე სექციად მაგ, საბიბლიოგრაფიო, რომელიც შეისწავლის ქართულ წიგნს, ანოტაციების, სარეკომენდაციო საქმესა და მათ შედგენას. სამხატვრო, რომელიც მხოლოთ საბიბლიოთეკო შინაარსის განსცენიურებებს მოაწყობს და სხვა მხატვრულ მხარეებს, აქტიური მუშაობის, კლასიფიკაციისა და სხვა ასეთები. ლექტორებათ მოწვეული არიან ამ საქმის სპეციალისტები და ვფიქრობთ-კარგი იქნება სამხედრო ნაწილების ბიბლიოთეკარებიც ჩაებან ამ მუშაობაში და თავისი გამოცდილებით ხელი შეუწყონ ხსენებულ წრეს, ეს მით უფრო, რომ საქართველოში პირველია და უნდა ვიფიქროთ მეტათ მნიშვნელოვან როლსაც შეასრულებს ქართველ ბიბლიოთეკართა კადრის შესაქმნელად.

წრის პირველი მეცადინეობა, გამოცხადებულ იქნება ქართულ პრესაში და მეტად სასურველია ჩვენი ნაწილების ბიბლიოთეკ-რები-მონაწილეობას მიიღებდენ და წრის სისტემატიურ მუშაობაში ჩაებმებოდენ...ეს გარდა ზემოთ აღნიშნულ სარგებლობისა, სამოქალაქო ბიბლიოთეკებთან დაგვაახლოვებს და საშვალებას მოგვცემს ჩვენი შეცდომები გამოვასწოროთ!..

**ანზორა.**

## შინაური ცხოველების და კაცის გადამდები ავადმყოფობანი.

### ჭლექი.

არამც თუ ჭლექით ავათ გახდომა, მარტო მისი სახელის გაგონებაც—კი საკმარისია, რომ ადამიანს შიშის კანკალი აუტყდეს და თავისი თავი რაღაც უმწეო მდგომარეობაში იგრძნოს. არც არავითარ ომს და არც არავითარ სხვა ავადმყოფობას არასოდეს ადამიანის სახ[ი]თ იმდენი მსხვერპლი არ შეუწირავს, რამდენიც ამ საშინელზე უსაშინელეს სენს.

ჭლექი მარტო ადამიანით არ კმაყოფილდება და იგი ყველა ჩვენს შინაურ ცხოველებსაც: რქოსან საქონელს, ღორს, ცხენს, ძაღლს, კატას, ცხვარს, თხას, ფრინველს, გალიაში დამწყვდეულ გარეულ ცხოველებს: მაიმუნს, ლომს, ვეფხვს, დათვს, ქვეწარმავლებს: კუს, ბაყაყს და სხვას იმავე ფორმით ემართება, როგორც ადამიანს.

ჭლექით ავათ არა ხდებიან მხოლოდ მინდვრის თაგვები, ოქროს თევზები და იაპონელი რქოსანი საქონელი.

ყველა გადამდებ ავადმყოფობათა შორის ჭლექს ძველზე უძველესი ისტორია აქვს და მისი დასაწყისი ძველი დროიდან მომდინარეობს.

ებრაელების ეწრილ მოსედან დაწყებული დღემდის არა ყოფილა არც ერთ დროს და არც ერთ ქვეყანაში ისეთი ცოტათ თუ ბევრად განათლებული ხალხი, რომელსაც არა სცოდნოდა თუ რა საშინელ სენს წარმოადგენდა ჭლექი და მთელი თავისი ძალღონე იმისაკენ არა ჰქონოდა მიმართული, რომ როგორმე მისგან თავი დაეღწია.

ჭლექის შესწავლის და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მიუხედავათ მრავალ საუკუნეთა განვლისა და დიდ მეცნიერთა მთელი რიგის აუარებელი შრომისა, მეცნიერებამ ვერავითარი შესამჩნევი ნაბიჯი მანამდის წინ ვერ გადადგა, სანამ კაცობრიობას უკვდავი მეგობარი და მეცნიერი კოხი არ მოევლინა, და 1882 წელს ჭლექის ბაცილები ანუ ჩხირები, რომლებიც, როგორც ადამიანისათვის, ისე ცხოველებისათვის საერთოა, არ აღმოაჩინა.

ამ დროიდან მეცნიერებამ თუმცა საგრძნობლად დაიმორჩილა ჭლექი, მაგრამ იმდენად მაინც კიდევ ვერა, რომ იგი დღეს სრულებით საშიშ სენს არ წარმოადგენდეს და ასი ათასობით ადამიანებს კიდევ უდროოდ სიცოცხლეს არ უსპობდეს.

ერთი დიდი მიზეზთაგანი, რომელიც სხვათა შორის დიდად ხელს უწყობს ადამიანთა შორის ჭლექის გავრცელებას, ჩვენი შინაური ცხოველებია, განსაკუთრებით რქოსანი საქონელი ხორცისა და რძის სახით.

თავდაპირველად ჭლექით ავათ გახდომა ცხოველს არაფერში არ ეტყობა. იგი ისე კარგადა გრძნობს თავს ამ ხანაში და ისეთ კარგ ტანზია, რომ არავითარი გარეგნული საშუალება ანუ ნიშნები არ არსებობენ, რომლებსაც შეეძლოსთ ცხოველის ჭლექით ავად გახდომ საკენ მიგვითითონ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფობა მაინც იმორჩილებს ცხოველს და უკანასკნელი, თუმცა ჭამის მადას არ კარგავს, მაინც თანდათან ხდება, სუსტდება, პირისა და ცხვირის ლორწიანი გარსი უფერული ხდება და ციებასა და ფაღარათს აწყებინებს.

### ჭლექის ნიშნები.

ჭლექი შეიძლება იყოს ფილტვებისა, წელებისა, ღვიძლის ელენთასი, ჯიქანისა ანუ ცურის, ძვლებისა, სახსრებისა და ტვინის, სხვა დანარჩენი ორგანოებისა ცალ-ცალკე და ბოლოს მთელი ორგანიზმისა ერთად, როდესაც იგი სხეულის ყველა ორგანოებზე მოედება.

ჭლექის მაჩვენებლად ითვლებიან შემდეგი ნიშნები: მოკლე, მშრალი და ხრინწიანი ხველება—განსაკუთრებით ცივი წყლის დალევის, ცივი ჰაერის შესუნთქვის და ჩქარი მოძრაობის შემდეგ—ქოშინი, აჩქარებული და მტკივნეული სულის თქმა, საღამოობით 41 გრ. სიცხე, ერთის მხრივ მუცლის ტკივილისა და ფაღარათის და მეორე მხრივ მუცელში შეკვრის ერთიმეორის მორიგეობითი შეცვლა, შეუწყვეტელი ფაღარათი, რომელსაც ხშირად ხან სისხლი და ხან ბალადმი ურევია, ბალნის ბზინვის დაკარგვა, ჯიქნის ერთ-ერთ უკანა ნაწილზე უმტკივნელო, პირველად რბილი და მერმედ მაგარი სიმსივნე, რძის შემცირება, უკანასკნელის ყვითელი ფერი და ადვილად დაკვეთა, რამოდენიმე ხნის შემდეგ რძის სრული დაკარგვა და ჯიქანზე სიმსივნის დაპატარავება, მუხლების სახსრების დასივება, ფრთხონერვიულობა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ცოხნა, დრო გამოშვებით ტანის ძიგძიგი. ზოგიერთ შემთხვევებში აღელვება და ძიგძიგი, თვალების მობრუნცვა, დაბრმავება, გვერდზე თავის წოლება, ყოველთვის ერთ და იმავე მხარისაკენ გაწევით წინსვლა, გაძლიერებული სქესობრივი მოთხოვნილება, დაუშაკებლობა, თუ დამაკდა—უმეტეს შემთხვევაში ხბოს მოგდება და ბოლოს ჯიდაოზე გვერდებზე ხელის თუ სხვა რამესი მაგრად დაჭირების შემდეგ რამოდენიმეჯერ დახველება.

სხვა და სხვა საქონელი სხვა და სხვა წინააღმდეგობას უწევს ჭლექს. ცხენისათვის 6-12 თვე საკმარისია, რომ ძვალტყავად გადაიქცეს, ხოლო რქოსან საქონელს შეუძლია ჭლექი დიდ ხანსაც ატაროს ტანში, მაგალითად ერთიდან სამ წლამდის. მთელი ორგანიზმის ჭლექის დროს ცხოველი რამოდენიმე კვირაში კვდება.

საზოგადოთ, ჭლექით უფრო გაუმჯობესებული ჯიშის, ბოსლებში თუ თვალებში დამწყვდეული და ბევრი რძის მომცემი საქონელი (ძროხები) ხდება ავად, ვინემ უბრალო ჯიშისა, მინდორში გაშვებული ცოტა რძის მომცემი ძროხები და სხვა საქონელი.

**ვეტექიმი ფარეიშვილი.**

## ამბები სოფლებიდან.

**ვენახის დაცვა.**

თელავის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის სახ. კომისარიატის წინაშე გამოიმუშაონ კანონი ვენახების ქურდულად გაჩეხის წინააღმდეგ.

**პოლიტსკოლები.**

სოფ. სორში, ამბროლაურში, ჭელის ღელეში, პატარა ონში და ქ. ონში (რაჭა) არსდება პოლიტსკოლები.

**დაზღვევა სოფლად.**

სამაზრო აღმასკომი შეუდგა მაზრაში სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის კამპანიის ჩატარებას.

**ტყეების შემოსავალი.**

მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში ოზურგეთის სატყეოებში დამუშავდა 4. 151 მ. 81 კაპიკის ხე-ტყე.

**სათესლე მასალის წამლობა.**

მიწად მოქმ. სახ. კომისარიატმა ტფილისის, გორის, დუშეთის და სიღნაღის მაზრებში მოაწყო საჩვენებელი ნაკვეთები სოკოსებურ ავადმყოფობის საწინააღმდეგოთ თესლის წინასწარ წამლობა.

**საკვები მასალის კრიზისის**

თანდათანობით შესანელებლათ მიწად მოქმ. სახ. კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან შეიძინა 200 ფუთი ბალახის თესლი (ონჯა, კოლინდარი და საკვები ჭარხალი) და დაუგზავნა მაზრებს.

**გლეხთა სასახლეს**

ტფ. აღმასკომმა თვიურად დაუნიშნა 500 მანეთი.

**საექიმო სადგურები.**

ტფ. აღმასკომმა დაადგინა მაზრაში არსებული 4 საფერშლო სადგური გადააკეთოს საექიმო სადგურებათ.

## ახალი ამბები.

— **თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა** ინსტიტუტი უშვებს ამ.-კავკასიის თვალსაჩინო ეკონომიურ რუქას.

— **წარმოების გაჯანსაღებისათვის.** შრომის დაცვის განყოფილება ამზადებს მასალებს თამბაქოს, ტყავის და პოლიგრაფიულ წარმოებების ტრესტებთან წარმოების გასაჯანსაღებლათ სათანადო ხელშეკრულებების დასადებათ.

— **დაზღვეულთა წამლობა.** ტფილისის დამზღვევმა სალაროშ საზამთრო აგარაკებზე გაგზავნა დაზღვეულ ავადმყოფების მესამე ჯგუფი.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** 28 მარტს საღამოს შრომის ბირჟაზე მოხდება საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირის უმუშევარ წევრთა ხელახალი აღრიცხვა.

— **29 მარტს.** დილის 9 საათზე, სასახლის ქ. № 5 მოხდება საბეჭდ მანქანაზე მომუშავეთა ცოდნის გამორკვევა.

— **პროფგანათლების** სამმართველომ შეუდგა სამასწავლებლო ტეხნიკუმების გადახალისებას აგრონომიულ და სამრეწველო ნიადაგზე.

## სამხედრო ტრიბუნალი.

**ღირსეული სასჯელი.**

24 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა ცალკე მესანგრე ასეულის წ. მ, ილურიძის, გაგნიძის, ბათნიაშვილის, ცისკარიშვილის. ძულიაშვილის და ხახონაშვილის დეზერტირობის საქმე. სასამართლოს ძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებული ილურიძე წასულა ნაწილიდან 10 თებერვალს და დაბრუნებულა თავის ნებით 16 მარტს, ბრალდებული განიძე-24 თებერვალს დაბრუნებულა 4 მარტს, ბრალდებული ბათნიაშვილი, ცისკარიშვილი, ძულიაშვილი და ხახონაშვილი წასულან ნაწილიდან ა. წ. 22 თებერვალს და დაბრუნებულან ა. წ. 4 მარტს. ბრალდებულებმა იცვნეს თავი დამნაშავეთ წაყენებულ ბრალდებებში.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მათ ბრალდებულ ილურიძეს საჯარიმო გუნდში მოთავსება ხუთი თვით და ქონების ნაწილის კონფისკაცი 5 მანეთის ღირებულებით.

ბრალდებული გაგნიძეს-საჯარიმო გუნდში მოთავსება 4 თვის ვადით და 5 მანეთის ქონების ნაწილის კონფისკაცია.

ბრალდებულ ბათნიაშვილს ცისკრიშვილს, ძულიაშვილს, და ხახონაშვილს საჯარიმო გუნდში მოთავსება 6 თვის ვადით და ქონების ნაწილის კონფისკაცია 5 მან. ღირებულებით თვითეულ მათგანს.

თანახმად ს. რ. საქართველოს ცაკის ამნისტიის ა. წ. 1 მარტიდან № 13 აღნიშნულ ბრალდებულთ სასჯელი შეუმცირდათ ნახევრად.-

**გნია.**

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ფოტოგრაფიულად გადაღებული ბგერა (ხმა)**

ერთმა ამერიკელმა ფიზიკოსმა, პროფესორ ტომამ გამოიგონა ერთგვარი აპარატი, რომლის საშვალებით შესაძლებელი ხდება ადამიანის ხმის—ბგერების ფოტოგრაფიულად გადაღება. ბგრები აპარატის მეოხებით აღიბეჭდებიან უკვე დამზადებულ ფირფიტაზე.

ორატორი ან მომღერალი დადგება მეგაფონის წინ (მეგაფონი, ხმების გასაძლიერებელი აპარატია), რომელიც შეერთებულია მეტის—მეტად მგრძნობიარე მემბრანასთან. ბგერითი ტალღების მოქმედებით ეს მგრძნობიარე მეგბრანა ირხევა და მისი რხევა გადაეცემა წვრილ ნემსზე, რომელიც თხელ ფირფიტაზე ხაზავს გადაცემულ ბგერების შესაფერ ხაზებს. ფირფიტა რომლის უკან მოთავსებულია სინათლის წყარო, დაფარულია ჭვარტლის თხელი ფენით.

**სიტყვის აღდგენა.**

ამ ჟამად უკვე გამოგონებულია საშვალება, რომლითაც ყრუებს შეუძლიათ ბგერების შეგრძნობა-ხმაურის მოსმენა კბილების საშვალებით.

უკანასკნელი მიღწევები მედიცინაში გაცილებით უფრო შორს მიდის. ეხლა შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში მთელი სიტყვის (речь) დაბრუნებაც კი.

ეს ახალი ხერხი გამოგონილი იქნა ამერიკაში, ნიუორკის ჰოსპიტალის მთავარ ექიმის მიერ.

**რუსული საბეჭდავი მანქანა (რემეგტონი).**

რუსმა ინჟენერმა—ბლოკიმ გამოიგონა სრულიად ახალი კონსტრუქციის საბეჭდი მანქანა-რემეგტონი. ეს მანქანა ისეთი დიდი ღირსების აღმოჩდნა, რომ ის არა თუ მოწონებული იქნა, არამედ ძლიერ დააინტერესა ამერიკული საწერი მანქანების უძლიერესი სინდიკატი. სინდიკატი სიამოვნებით ღებულობს თავის თავზე ამ ახალი ტიპის მანქანების დამზადების საქმეს.

მანქანა ისეთ ნაირად არის აგებული, რომ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ის აღმოსავლეთური (უკუღმა-მარჯვნიდან მაცრხნისაკენ) ბეჭედისათვის საერთოდ მანქანა ძლიერ გამარტივებულია. ჩვეულებრივი მანქანა შესდგება 1200 სხვა და სხვა ნაწილებისაგან, ხოლო ეს ახლო ტიპის კი 500 ნაწილისაგან. ამას გარდა ზოგიერთი ასოების ბეჭვდა შეიძლება პირდაპირ ლენტის გარეშეც.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. კვინჩოყრელს** (პირ. ლეგ. 3-მე ასეული) შემოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ხიმშელს** თქვენი ლექსი „შრომა“ არ გამოდგა.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

## განცხადება.

დივიზიის ვეტექიმ ამხ. კ. მ. ფარეიშვილის მიერ შედგენილია ქართულ ენაზე და დასაბეჭდად გამზადებული წიგნები:

1. „ცხენის მოვლა“,
2. „ცხენი სასოფლო მეურნეობაში და წითელ ლაშქარში, მასზედ ზრუნვა და მისი მოვლის 27 მცნება“,
3. „შინაურ ცხოველებისა და კაცის გადამდები ავადმყოფობანი“,
4. „დაჭედვის თეორია“ პროფესორი ლანგენბახერისა (რუსულიდან თარგმნილი) და
5. ტაბულა„ ცხენისა და მუშა საქონლის დაჭედვა“ 94 სურათით და თითოეულ სურათის ქვეშ ქართულ—რუსულ წარწერა.

ყველა ნაშრომები განხილული და მოწონებულია მოსახლეობასა და ჯარში გასავრცელებლად რესპუბლიკის მიწადმოქმედების კომისარიატის ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების და კ. წ. დროშოვან ლაშქრის სავეტერინარო სამმართველოს მიერ.

თითეული წიგნი საშუალოდ ეღირება არა ნაკლებ 45 კაპ. არა უმეტეს 60 კაპ. დაჭედვის ტაბულა-კი არა ნაკლებ 1 მანეთისა და არა უმეტეს 1 მან. 50 კაპ.

ყველა იმ სამხედრო ნაწილებმა თუ კერძო პირებმა, რომლებიც მოისურვებენ ამ წიგნების და ჭედვის ტაბულის შეძენას, შეუძლიათ შეუკვეთონ თვით ავტორს მე-2-რე ქართულ მსრ. დივიზიის შტაბში, ოთახი მე-12-ტე.